თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №02
2026 წლის 16 იანვარი

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 იანვრის №02 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალილიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 იანვრის №02 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალილიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge; 20/01/2022; 270070000.35.163.016558).

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 იანვრის N02 დადგენილებით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალილიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის“ მეორე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებისას გაწეული ხარჯის ყოველთვიურად ასანაზღაურებელი თანხის ზედა ზღვარი განსაზღვროს 970 (ცხრაას სამოცდაათი) ლარით“.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**